2. ოტო პრემინგერის ინსტიტუტი (OTTO PREMINGER INSTITUT) ავსტრიის წინააღმდეგ

20 სექტემბერი, 1994 წ.

აზრის გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი)

ძირითადი ფაქტები:

ოტო პრემინგერის აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებების ინსტიტუტი ქ.ინსბრუკში აპირებდა კინოთეატრში ეჩვენებინა ვერნერ შრიოდერის ფილმი „სიყვარულის ტაძარი". რომის კათოლიკური ეკლესიის ინსბრუკის ეპარქიის მიმართვის საფუძველზე, ინსბრუკის პროკურორმა გამოიტანა დადგენილება ფილმის დაპატიმრების შესახებ. მოგვიანებით, ინსბრუკის მიწის სასამართლომ დაადგინა ფილმის კონფისკაცია იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ფილმის პროვოკაციული ხასიათი არ თავსდებოდა ავსტრიის კონსტიტუციით დაცული მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ფარგლებში.

განმცხადებლის არგუმენტი:

აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ვერ ჩაითვლებოდა კანონის საფუძველზე განხორციელებულად, რადგან, ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი, რომელიც გამოყენებული იყო, ითვალისწინებდა მხოლოდ „დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი" იდეებისა და ინფორმაციების გავრცელების უფლების შეზღუდვას. რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნების სატირული ფორმით გამოხატვა კი ასეთ რამეს არ გულისხმობდა.

სასამართლოს შეფასება:

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბალანსის გამოძებნა აზრის მხატვრულად გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური რწმენის პატივისცემის უფლებას შორის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ:

ა) მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა კანონის საფუძველზე განხორციელდა, ვინაიდან ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი

კრძალავდა რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც „სამართლიან გულისწყრომას“ იწვევდა (ფილმში მამა ღმერთი, იესო ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი გამოხატული იყვნენ პროვოკაციული ფორმით);

ბ) ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს: სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-9 მუხლით დაცული აზრის, რწმენისა და რელიგიის *თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი საფუძველთაგანია, ვინაიდან სწორედ რელიგიური განზომილებებით ხორცილდება მორწმუნეთა თვითიდენტიფიკაცია და მათი წარმოდგენა ცხოვრებაზე. მართალია, მორწმუნენი შეგნებულად უნდა ურიგდებოდნენ მათი შეხედულებების კრიტიკას და მათი რწმენისადმი შეუწყნარებელი შეხედულებების გავრცელებას,* მაგრამ კრიტიკის ისეთი ფორმები და საშუალებები, რომლებიც ხელს უშლიან მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლების მშვიდობიან განხორციელებას, სახელმწიფოს აკისრებდა შესაბამის პასუხისმგებლობას, ჩარეულიყო ინდივიდურ უფლებებში საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. სასამართლოს აზრით, რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოხატვა ბოროტი განზრახვით, არღვევდა შემწყნარებლობის ატმოსფეროს, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობდა პიროვნების პასუხისმგებლობასაც, შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა ისეთი გამოხატვისაგან, რომლებიც „სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფდა სხვას, არღვევდა მის უფლებებს და არ ემსახურებოდა ისეთი საკითხების საჯარო განხილვას, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრესს საკაცობრიო საკითხებში:

გ) ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლო დაეთანხმა ავსტრიის მთავრობის შეფასებას, რომ ფილმი წარმოადგენდა თავდასხმას ქრისტიანულ რელიგიაზე, განსაკუთრებით კი — რომის კათოლიკურ ეკლესიაზე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი ნაწილი (88%) სწორედ ამ რელიგიის მიმდევარი იყო. შესაბამისად, არსებობდა „მწვავე სოციალური საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ისევე, როგორც მორალის სფეროში, აგრეთვე არ არსებობდა ზოგადევროპული წარმოდგენა საზოგადოებაში რელიგის დანიშნულების შესახებ. ამიტომ, ეროვნული სახელმწიფოს შეფასება კონკრეტულ დროსა და ადგილზე ჩარევის აუცილებლობის თაობაზე, ანგარიშგასაწევი იყო. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ინსბრუკის სასამართლოები მოქმედებდნენ მათთვის მინიჭებული თავისუფალი მიხედულების ფარგლებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არც ფილმის დაპატიმრება და არც მისი შემდგომი კონფისკაცია არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.